როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის

ლიტერატურა

არჩევითი გამოცდა

2021

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით – „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე – ელექტრონული ფორმით) გავრცელება. აგრეთვე, იკრძალება საგამოცდო კრებულების გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი ---------- 5
საგამოცდო პროგრამა ---------- 6
საგამოცდო მოთხოვნები ---------- 7
ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები
I. ქართული ლიტერატურა
ა) დავალებების ნიმუშები ---------- 9
ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 14
II. მხატვრული ტექსტის ანალიზი
ა) დავალებების ნიმუშები ---------- 18
ბ) შეფასების კრიტერიუმები ---------- 26

შესავალი

წინამდებარე კრებული განკუთვნილია მათთვის, ვინც 2021 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არჩევით საგნად ლიტერატურის ჩაბარებას აპირებს. კრებულში მოცემულია საგამოცდო პროგრამა ლიტერატურაში და საგამოცდო მოთხოვნები; ტესტური დავალებების ნიმუშები, რომლებიც დაჯგუფებულია დავალებების ტიპების მიხედვით და ამ დავალებების შეფასების კრიტერიუმები.

შეგახსენებთ, რომ ლიტერატურის 2021 წლის საგამოცდო ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა (მაქსიმალური ქულა 40), რომელშიც მოცემული დავალებებით მოწმდება საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების ცოდნა და ამ თხზულებების ცალკეული მონაკვეთების ადეკვატური გაგებისა და გააზრების უნარი, კერძოდ, აბიტურიენტს მოეთხოვება ამა თუ იმ ნაწარმოების ფაბულისა თუ ცალკეული ეპიზოდების გახსენება, პერსონაჟის ხასიათის ანდა ქცევის მოტივაციის გააზრება და სხვ., აგრეთვე, ტექსტის ცალკეული სიტყვისა თუ ფრაზის მართებული გაგება. დავალებები შეიძლება იყოს ერთქულიანი, ორქულიანი, სამქულიანი და ა. შ. (ყოველი მათგანის რიგითი ნომრის მარცხენა მხარეს, ფრჩხილებში მითითებული ციფრი აღნიშნავს დავალების მაქსიმალურ ქულას, რომლის მიღებაც შეუძლია აბიტურიენტს ამ კონკრეტული დავალების სწორად შესრულების შემთხვევაში); II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (მაქსიმალური ქულა 30) ამ დავალებით მოწმდება მხატვრული ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარი კონკრეტული სამი მითითების მიხედვით. საანალიზოდ მოცემული იქნება ორი ტექსტი, რომელთაგან ერთი არ არის შეტანილი საგამოცდო პროგრამაში, ხოლო მეორე შეიძლება იყოს როგორც არასაპროგრამო, ასევე – საპროგრამოც.

2021 წელს ლიტერატურის ტესტის მაქსიმალური ქულაა 70, გამოცდისათვის განკუთვნილი დროა 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

2021 წლის საგამოცდო პროგრამა

I. ქართული ლიტერატურა

1. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათ-მცოდნეობითი ტერმინები	დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა; ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი; აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი; დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა; ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი; ალეგორია, ალიტერაცია, ალუზია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.
2. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები	სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
3. იაკობ ხუცესი	„შუშანიკის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
4. იოვანე საბანისძე	„აბო თბილელის წამება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
5. გიორგი მერჩულე	„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).
6. შოთა რუსთველი	„ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა): „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.
7. სულხან-საბა ორბელიანი	„სიბრძნე-სიცრუისა“, მემკვიდრის აღზრდის ამბავი; ლეონის თავგადასავალი. იგავ-არაკები: „მეფე ხორასნისა“, „ძუნწი და ვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.
8. დავით გურამიშვილი	„დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველ უფალთა მეგვარტომობის იგავი“, „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.
9. ალექსანდრე ჭავჭავაძე	ლექსი „გოგჩა“.
10. გრიგოლ ორბელიანი	ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.
11. ნიკოლოზ ბარათაშვილი	ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო...“, „მერანი“, „ცისა ფერს“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.
12. ილია ჭავჭავაძე	ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პასუხის პასუხი“, „ჩემო კალამო“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

13. აკაკი წერეთელი	ლექსები: „აღმართ-აღმართ“, „განთიადი“, „სულიკო“, „ქებათა ქება (სხვებმა სვან ღვინო...)“; პოემები: „თორნიკე ერისთავი“, „გამზრდელი“.
14. ალექსანდრე ყაზბეგი	მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.
15. ვაჟა-ფშაველა	ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კაი ყმა“, „იას უთხარით ტურფასა“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; მოთხრობა „ამოდის, ნათდება“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
16. დავით კლდიაშვილი	მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
17. ნიკო ლორთქიფანიძე	მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.
18. კონსტანტინე გამსახურდია	რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
19. მიხეილ ჯავახიშვილი	რომანი „ჯაყოს ხიზნები“.
20. პოლიკარპე კაკაბაძე	პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).
21. გალაკტიონ ტაბიძე	ლექსები: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „თოვლი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „მშობლიური ეფემერა“.
21. ტიციან ტაბიძე	ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.
23. პაოლო იაშვილი	ლექსი „პოეზია“.
24. გიორგი ლეონიძე	ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“.
25. გურამ რჩეულიშვილი	მოთხრობა „ალავერდობა“.
26. ანა კალანდაძე	ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.
27. ჯემალ ქარჩხაძე	მოთხრობა „იგი“.
28. გურამ დოჩანაშვილი	მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

საგამოცდო მოთხოვნები

აბიტურიენტმა უნდა იცოდეს:

- საგამოცდო პროგრამაში შეტანილ ნაწარმოებთა სიუჟეტები (მოვლენები, ფაქტები და მათი თანამიმდევრობა);
- ტექსტში მოცემული ინფორმაცია პერსონაჟების შესახებ (პორტრეტი, თავგადასავალი, ავტორისეული დახასიათება და სხვ.);
- ტექსტში აღწერილ მოვლენათა ისტორიული კონტექსტი, გეოგრაფიული სახელები;
- მწერალთა ბიოგრაფიების ძირითადი მომენტები.

აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება;
- ენობრივი კონსტრუქციების სწორად აგება და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა;
- სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შედგენა;
- მხატვრულ ტექსტთა ლექსიკის გაგება;
- ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;
- ნაწარმოების თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, მხატვრული სახეების, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატური გააზრება;
- არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- არგუმენტირების უნარი;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

ტესტური დავალებების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები

I. ქართული ლიტერატურა

ა) დავალებების ნიმუშები:

(2) **1. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ ვარსქენი მიმართავს სპარსთა მეფეს:**

„ – რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოვაქცინე შენსა შჯულსა, ვითარცა-ესე მე.

ამას უქადებდა, რომელ-იგი არა აქუნდა ხელთა შუშანიკისაგან. მაშინ განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაი“.

1. რომელ *„შჯულს“* გულისხმობს ვარსქენი?
2. რას ნიშნავს სიტყვები: *„არა აქუნდა ხელთა შუშანიკისაგან“*?

(1) **2. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ შუშანიკი ეუბნება იაკობ ხუცესს:**
„ხოლო უკუეთუ შემკრას და მითრიოს, მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებაი ჩემი მისგან“.

რატომ უხარია შუშანიკს, რომ ვარსქენი ტანჯვას მიაყენებს?

(2) **3. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ მსაჯული მიმართავს აბოს:**

„ – დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვაი და უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათვის შედგომილ ხარ ქრისტეანეთა, მე უფროისღა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ“.

1. რას ჰპირდება მსაჯული აბოს ქრისტიანობაზე უარის თქმის სანაცვლოდ?
2. გაიხსენეთ, რა უპასუხა აბომ მსაჯულს?

(2) **4. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ აბოს შესახებ ნათქვამია:**

„ვერ განაცხადებდა თავსა თვისსა სრულად ქრისტიანედ, ხოლო ფარულად იმარხავნ და ილოცავნ ქრისტეის მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტეისი“.

1. ვისი ეშინოდა აბოს, როცა ქრისტიანობისადმი თავის დამოკიდებულებას მალავდა?
2. რა კონკრეტული მიზნით ეძებდა აბო უსაფრთხო ადგილს? (ციტირება დაუშვებელია)

(2) **5. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ვკითხულობთ:**

„[გრიგოლი] წარემართა აფხაზეთს. და მი-რაი-იწია წინაშე ხელმწიფისა მის, ზე აღდგა და წინა მოეგება და სიმდაბლით მოიკითხა. ხოლო წმიდამან განგრძობილად ულოცა და მრავლითა კურთხევითა შეამკო“.

1. გაიხსენეთ, რა მიზნით გაემგზავრა გრიგოლ ხანძთელი აფხაზეთში?
2. გრიგოლ ხანძთელისადმი აფხაზეთის მეფის როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ მონაკვეთში?

(2) **6. თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აშოტ კურაპალატი მიმართავს დედა ფებრონიას:**

„ – სახლისა ჩუენისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩუენი ხელთა მისთა იყო, და მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანებია და ფრიადი დაგუაკლდა საფასეთა ჩუენთაგანი. აწ უბრძანე, რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს და ყოველი მოგუითუალოს და კუალად თქუენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს“.

1. რა იყო რეალური მიზეზი იმისა, რომ აშოტ კურაპალატს *„მეჭურჭლე ქალის“* სასახლეში დაბრუნება სურდა?
2. რას ნიშნავს სიტყვები: *„ყოველი მოგუითვალოს“*?

(6) **7. გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნის“ თავი:** „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“.

1. როგორ ახასიათებს თინათინს სიტყვები: „რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია“?
2. რა მიზეზი დაასახელა როსტევანმა, რის გამოც თინათინი უნდა გაემეფებინა?
3. კონკრეტულად რამ გაახარა ავთანდილი, როცა თინათინის გამეფების ამბავი შეიტყო?
4. რატომ ატირდა თინათინი, როცა მამამ ტახტზე დასვა?
5. რით ახსნა როსტევანმა თინათინის გამეფების შემდეგ თავისი „დაღრეჯილობა“?
6. რაში უნდა შეჯიბრებოდნენ ერთმანეთს როსტევანი და ავთანდილი?

(6) **8. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი ავთანდილი უცხო მოყმის საძებნელად გაემგზავრა:**

1. ვისი დავალებით მიდის ავთანდილი ტარიელის მოსაძებნად?
2. რას ნიშნავს ავთანდილის სიტყვები: *„მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს“*?
3. რის თქმა სურს ავთანდილს სიტყვებით: *„ღმერთო, სამართალნი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ“*?
4. რა უამბო ავთანდილს ორმა ხატაელმა, რომლებსაც მძიმედ დაჭრილი ძმა მოჰყავდათ?
5. რატომ არ დაეწია ავთანდილი ტარიელს, რომელსაც ორი დღე-ღამის განმავლობაში შორიახლოს მისდევდა?
6. რა მიზნით დააპირა ავთანდილმა მარტოდ დარჩენილი ასმათის შეპყრობა?

(2) **9. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:**

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო;
ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო;
ვით რემა ხნარცვს არ ჩავარდეს, ულაგმო და უსადაო“.

1. ავტორის აზრით, რატომ უნდა სწავლობდეს ყმაწვილი? (ციტირება დაუშვებელია)
2. ვინ იგულისხმება სიტყვებში: *„ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად“*?

(2) **10. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი წერს:**

„პირსფერობა, უკან ძრახვა არა თქმულა საფარსაგო.
სჯობს ტყუილით ქვე ყოფნასა ზე სიმართლით ავიბარგო;
ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,
მაზე სული არ წარვსწყმინდო, რა გინდ ხორცით დავიკარგო!“

1. რას ნიშნავს სიტყვები: *„ზე სიმართლით ავიბარგო“*?
2. რა აზრს გამოხატავს ამ სტროფის უკანასკნელი ორი სტრიქონი?

(2) **11. გაიხსენეთ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“:**

1. რა აწუხებდა ფინეზს, რის გამოც მან *„დღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა ევედრონ ღმერთსა...“*?
2. რა პირობით დასთანხმდა ლეონი მეფე ფინეზს, რომ მის ვაჟიშვილს აღზრდიდა?

(2) **12. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ მეფე ფინეზზე ნათქვამია:**

„ყოველთა კაცთა ზედა საბოძვარი ცათა წვიმისათვის გარდაემატებინა“.

1. ფინეზის რა კონკრეტული თვისება ჩანს ამ სიტყვებში?
2. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ამ ფრაზაში?

(2) **13. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.**

1. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ლექსი?

2. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: *„ყვავილოვანი წალკოტი შენი...“*?

(2) **14. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „საღამო გამოსალმებისა“ ვკითხულობთ:**

„აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!
ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულწყლულსა?“

1. ვის მიმართავს ლირიკული გმირი სიტყვებით: *„შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!“*?
2. რატომ მიიჩნევს ლირიკული გმირი, რომ *„ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს...“*
(ციტირება დაუშვებელია)

(2) **15. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“.**

1. რატომ არის ამაო უძლეველ მეფეთა სურვილი, დაიპყრონ სხვა სამეფოები?
2. რა კონკრეტული მიზანი ამოძრავებს კეთილ მეფეს, როცა ის საკუთარ ხალხსა და ქვეყანაზე ზრუნავს?

(2) **16. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“.**

1. რას უწოდებს პოეტი *„ფუჭსა“* და *„მხოლოდა ამაოებას“?*
2. რა კონკრეტული მანკიერებაა მხილებული ლექსის მონაკვეთში:

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს“?

(2) **17. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კალამო“.**

1. რას გამოხატავს სიმბოლურად ამ ლექსში *„კალამი“*?
2. რატომ მიიჩნევს პოეტი, რომ ხალხის სიძულვილში მისი დადანაშაულება უსაფუძვლოა?

(2) **18. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ოთარაანთ ქვრივი“.**

1. რატომ შეიკავეს თავი გიორგის მოჯამაგირედ აყვანაზე არჩილმა და კესომ?
2. როგორ გესმით ოთარაანთ ქვრივის სიტყვები: *„ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერ-უმარილი რა საჭიროა“*?

(2) **19. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის ლექსი „აღმართ-აღმართ“.**

1. რა ნიშნავს სიტყვები: *„ჭმუნვის ალი მენელა“*?
2. რით არის განპირობებული ლირიკული გმირის სასოწარკვეთა?

(2) **20. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“.**

1. რა მოითხოვეს ქართველმა სარდლებმა, როცა ბერძენთა დასახმარებლად საქართველოდან ჯარის გაგზავნის საკითხი გადაწყდა?
2. რას ჰპირდებოდნენ ბერძნები ქართველებს დახმარების სანაცვლოდ?

(2) **21. ალექსანდრე ყაზბეგი მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ წერს:** „ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყვანდა და იქ... აპირობდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას“.

1. რა იყო ონისეს *„ნაღველის“* გამომწვევი მიზეზი?
2. გაიხსენეთ, რა სასჯელი გამოუტანა თემის სამსჯავრომ გუგუას?

(2) **22. გაიხსენეთ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.**

1. ონისე ამბობს: *„მოკვდეს ის კაცი, ვინც მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ქუდოსანი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგების!“*.
ონისეს რა თვისება ჩანს ამ სიტყვებში?
2. რა უთხრეს თემის მოთავეებმა ხევისბერს, როცა მან ონისეს დასჯა მოითხოვა?

(3) **23. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“.**

1. რომელი ისტორიული ფაქტია ამ პოემაში ასახული?
2. რატომ აღასრულებდა *„საჯარეში“* რელიგიურ რიტუალს *„დიაცი“* სანათა?
3. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში: *„დღემ დაიხურა პირბადე...“*?

(3) **24. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „ალუდა ქეთელაური“.**

1. როცა ალუდა მუცალთან გამართული ორთაბრძოლის შესახებ მოუთხრობდა თანასოფლელებს, რა სიტყვით მოიხსენია მან ქისტი, რამაც უშიშა საშინლად აღაშფოთა? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)
2. კონკრეტულად რისთვის ვერ გაიმეტა ალუდამ მუცალი?
3. ვის ეუბნება ალუდა ამ სიტყვებს: *„ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ...“*?

(2) **25. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.**

1. რატომ არ სურდა პლატონს ქორწილის მეორე დღეს შაფათაძის ოჯახში სტუმრობა?
2. რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი სამანიშვილებისათვის, ელენეს ვაჟი გაუჩნდებოდა თუ ქალიშვილი?

(2) **26. გაიხსენეთ დავით კლდიაშვილის მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.**

1. მამის ქორწილის შემდეგ რატომ იკავებდა თავს პლატონი, რომ ბრეგაძეებისათვის „საქვრივო“ გამოერთმია?
2. რა მოსალოდნელი საფრთხის შიშს გამოხატავს პლატონის სიზმარი?

(1) **27. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.**

ვის მიმართავს ლირიკული გმირი სიტყვებით:

„სული, ვედრებით განაც�bi,
შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა“?

(2) **28. გაიხსენეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.**

კონსტანტინე არსაკიძე შემთხვევით აღმოჩნდა ეკლესიაში, სადაც მელქისედეკ კათალიკოსი ქადაგებდა.

1. რის შესახებ საუბრობდა მელქისედეკ კათალიკოსი?
2. როგორ აისახა ეს ქადაგება შემდეგ არსაკიძის შემოქმედებაში?

(2) **29. გაიხსენეთ პაოლო იაშვილის ლექსი „პოეზია“.**

1. რა არის პოეტისთვის *„ტანჯვა... უზარმაზარი“*? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)
2. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში:

„მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი...“?

(2) **30. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თოვლი“.**

1. რა განცდას გამოხატავს ლირიკული გმირი სიტყვებით: *„ძვირფასო! სული მევსება თოვლით...“*?
2. პოეტი ამბობს: *„მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში ...“*
   რა უყვარდა მას საყვარელი ქალის ხმაში? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)

(2) **31. გაიხსენეთ გიორგი ლეონიძის ლექსი „ნინოწმინდის ღამე“.**

1. რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს ადარებს პოეტი სატრფოს სტრიქონში: *„ხატი იყავ –*

ვეფხვი დაქალებული...“?

2. ვის გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „*ლექსის მეხანძარენი*“?

(2) **32. გაიხსენეთ ტიციან ტაბიძის ლექსი „ანანურთან“.**

1. ლექსის დასაწყისში რასთან კონტრასტით გამოხატავს ლირიკული გმირი საოცნებო ქალთან დაშორებით გამოწვეულ განცდას? (შეგიძლიათ უპასუხოთ ციტატით)

2. რა მხატვრული საშუალებაა:

„გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები...“?

(2) **33. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „იგი“.**

1. „როდესაც ცამ დღის თვალი დახუჭა და ღამის მკრთალი თვალი გაახილა, იგის სხეულში წუხილმა დაიდო ბინა“.

რა იგულისხმება სიტყვებში: „*ღამის მკრთალი თვალი*“?

2. „ – როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება“.

რა იგულისხმება სიტყვებში: „*დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება*“?

(2) **34. გაიხსენეთ გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“.**

1. რა მიზნით გაიტაცა ცხენი მოთხრობის მთავარმა გმირმა?

2. როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ბრბო განსხვავებული პიროვნების მიმართ?

(2) **35. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.**

1. რატომ მოსწონდა ვასიკო კეჟერაძეს ფართოჯიბიანი ტანსაცმელი?

2. ვასიკო კეჟერაძის აზრით, რა მიზნით უნდა დაამწყვდიონ ახალგაზრდები „*კარცერ-ლუქსში*“?

(2) **36. გაიხსენეთ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“.**

1. ნაწარმოების დასაწყისში ბელადი ამბობს:

„იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება...
ასეთი რამ ჯერ არც ერთ ბელადს არ ეთქვა.
იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა“.

იგის აზრით, რა არის *„რაღაც ახალი“*, რაც ამქვეყნად გაჩნდა?

2. ნაწარმოების დასასრულს იგი ხვდება, რომ დიდი დაძინების ქარაფზე აუცილებლად წელგამართული უნდა ავიდეს – ვის გამო იღებს ის ამ გადაწყვეტილებას?

ბ) შეფასების კრიტერიუმები

1. მაზდეანობას (ცეცხლთაყვანისმცემლობას, ზოროასტრიზმს, ატროშანს, მოგვობას). შუშანიკისაგან ნებართვა (დასტური, თანხმობა) არ ჰქონდა (პირობას შუშანიკისგან მალულად იძლეოდა).

1. ცეცხლთაყვანისმცემლობას ---------- *1ქ.*
2. შუშანიკის დასტური არ ჰქონდა ---------- *1ქ.*

2. ამგვარად მოხდება შუშანიკისა და ვარსქენის განშორება; ამით ნათელი გახდება, რომ შუშანიკი ვარსქენის სარწმუნოებრივ პოზიციას რადიკალურად უპირისპირდება.

ამ გზით შუშანიკი დაშორდება ვარსქენს ---------- *1ქ.*

3. ბევრად მეტ საბოძვარსა და პატივს მოგანიჭებო (თუ გიჭირს, ამ გაჭირვებიდან ამოგიყვანო; გულუხვად დაგასაჩუქრებო). საბოძვარი და პატივი შენვე დაიტოვე შენივე თავის წარსაწყმედადო; რომ ქრისტემ იგი უკვე დაასაჩუქრა (რადგან ქრისტიანობას ვეზიარე, ადამიანებისგან დახმარებას არ ვსაჭიროებო; „ოქროი და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენისა“).

1. შენს კეთილდღეობას უზრუნველვყოფო ---------- *1ქ.*
2. საბოძვარი და პატივი შენთვის დაიტოვეო ---------- *1ქ.*

4. აბო ქრისტიანობისადმი თავის დამოკიდებულებას არაბების, სარკინოზების, ქვეყნის გამგებლების გამო მალავდა. აბო უსაფრთხო ადგილს ეძებდა, რათა მონათლულიყო; ქრისტეს ნათელი მიეღო.

1. სარკინოზების ეშინოდა ---------- *1ქ.*
2. რომ მონათლულიყო ---------- *1ქ.*

5. ძმობის წევრების მოსაძებნად (ძმების წევრების, თეოდორესა და ქრისტეფორეს, დასაბრუნებლად; „ძიებად კრავთა“). მოწიწებული (მოკრძალება, მორიდება, პატივისცემა).

1. გაპარული ძმობის წევრების მოსაძებნად ---------- *1ქ.*
2. მოწიწება ---------- *1ქ.*

6. აშოტ კურაპალატის სურვილის რეალური მიზეზი ის იყო, რომ მას „მეჭურჭლე ქალი“ უყვარდა. „ყოველი მოგუითვალოს“ ნიშნავს - ყველაფერი თვლით ჩაგვაბაროს; ქონებასთან (საგანძურთან, საჭურჭლესთან) დაკავშირებული ანგარიში გაასწოროს.

1. ქალი თავდავიწყებით უყვარდა ---------- *1ქ.*
2. ანგარიში გაასწოროს ---------- *1ქ.*

7. როგორც ლამაზს (მშვენიერს, თვალწარმტაცს, მზეთუნახავს). დაბერდა და ტახტს მემკვიდრე სჭირდებოდა (სიბერე, მოხუცებულობა, „გარდასრული“ ასაკი; ტახტის მემკვიდრედ ძე არ რჩებოდა; „მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს...“). თინათინის ხშირად ნახვის შესაძლებლობა ეძლეოდა („თქვა: „ზედაზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა“). თავი მამის ტახტზე ჯდომის ღირსად არ მიაჩნდა („მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“). ვერ ხედავდა კაცს, რომელიც მომავალში მშვილდოსნობასა და ბურთაობაში მისი მსგავსი (ტოლი) იქნებოდა (ვაჟკაცობით ვერავინ შეედრებოდა; ვერავინ ისწავლა მისგან „სამამაცონი ზნენია“). ნადირობაში (მშვილდით ნადირობისას უნდა დაემტკიცებინათ საკუთარი უპირატესობა; დასაშვებია აგრეთვე - მშვილდოსნობაში).

1. თვალწარმტაცს ---------- *1ქ.*
2. სიბერე ---------- *1ქ.*
3. სატრფოს ხშირად ნახავდა ---------- *1ქ.*
4. მიიჩნევდა, რომ მამის ტახტზე ჯდომის ღირსი არ იყო ---------- *1ქ.*
5. ვაჟკაცობით ვერავინ შეედრებოდა ---------- *1ქ.*
6. ნადირობაში ---------- *1ქ.*

8. ავთანდილი ტარიელის მოსაძებნად თინათინის დავალებით მიდის. ავთანდილის სიტყვები ნიშნავს: ჩემს მონაცვლედ შერმადინს ვტოვებ; ჩემს მაგივრობას შერმადინი გასწევს. ავთანდილი ღმერთს საყვედურობს, რომ იგი მას უსამართლოდ ექცევა; თავს უსამართლობის მსხვერპლად მიიჩნევს. ავთანდილს ხატაელებმა უამბეს, რომ ვეფხის ტყავით შემოსილი ჭაბუკი ნახეს; სანადიროდ წამოსულნი უცნობ მოყმეს გადაეყარნენ, რომელმაც მათი ძმა დაჭრა. ავთანდილი ტარიელს არ დაეწია, რადგან მათს უეცარ შეხვედრას შეიძლება დაპირისპირება მოჰყოლოდა. ავთანდილმა მარტოდ დარჩენილი ასმათი იმ მიზნით შეიპყრო, რომ მისგან უცხო მოყმის ამბავი გაეგო.

1. თინათინის ---------- *1ქ.*
2. ჩემს ადგილს შერმადინი დაიკავებს ---------- *1ქ.*
3. მიაჩნია, რომ უსამართლოდ იტანჯება ---------- *1ქ.*
4. უცხო მოყმემ ძმა დაგვიჭრაო ---------- *1ქ.*
5. დაპირისპირებისათვის თავის ასარიდებლად ---------- *1ქ.*
6. უცხო მოყმის ამბის გაგება სურდა ---------- *1ქ.*

9. შეიცნოს საკუთარი თავი (გაიაზროს საკუთარი ვინაობა, ცხოვრების აზრი). ღმერთი (უფალი, უზენაესი შემოქმედი).

1. შეიმეცნოს საკუთარი არსი ---------- *1ქ.*
2. უფალი ---------- *1ქ.*

10. „ზე სიმართლით ავიბარგო“ ნიშნავს: სასუფეველში დავიმკვიდრო ადგილი. ადამიანს სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, სიკეთის მკეთებელს ბოროტი არ უნდა გაუთანაბროს.

1. საიქიოს ვცხონდე ---------- *1ქ.*
2. სიკეთის მთესველი ბოროტს არ უნდა გავუტოლოთ ---------- *1ქ.*

11. არ ჰყავდა ძე (შვილი, ვაჟიშვილი, ტახტის მემკვიდრე). ხელწერილი მომეცი, რომ, სანამ ჩემს აზრს არ მოისმენ, მანამ სხვისი ნათქვამის საფუძველზე არ მომკლავო.

1. შვილი არ ჰყავდა ---------- *1ქ.*
2. ხელწერილი მომეცი , რომ გაუსამართლებლად არ დამსჯიო ---------- *1ქ.*

12. ამ მონაკვეთში ჩანს მეფის გულუხვობა, ხელგაშლილობა. ჰიპერბოლა (დასაშვებია აგრეთვე: მეტაფორა).

1. გულუხვობა ---------- *1ქ.*
2. ჰიპერბოლა ---------- *1ქ.*

13. რომანტიზმს. საქართველოს (სამშობლოს, მამულს).

1. რომანტიზმს ---------- *1ქ.*
2. საქართველოს ---------- *1ქ.*

14. ლირიკული გმირი მიმართავს სატრფოს, მიჯნურს, შეყვარებულს. თავს დატეხილ უბედურებას სიტყვებით (მოთქმით) ვერ უშველი (დასაშვებია აგრეთვე: ღრმა მწუხარების სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია).

1. საყვარელ ქალს ---------- *1ქ.*
2. მოთქმა-გოდებით უბედურებას არ ეშველება ---------- *1ქ.*

15. თვითონაც იმ მიწად იქცევიან, რომლის დაუფლებისკენაც მიისწრაფვიან; სოფლის ამაოებას ვერც თვითონ გაექცევიან („აღიძვრიან იმავ მიწისთვის,/რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..“). რათა შთამომავლობამ მისი სახელი არ დაწყევლოს (ამქვეყნად კეთილი სახელი რომ დატოვოს; „არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..“).

1. თავადაც მიწად იქცევიან ---------- *1ქ.*
2. შთამომავლობამ კეთილად რომ მოიხსენიოს ---------- *1ქ.*

16. პოეტი „ფუჭსა“ და „მხოლოდა ამაოებას“ ადამიანურ ყოფას, ამქვეყნიურ ცხოვრებას, წუთისოფელს უწოდებს. ლექსის ამ მონაკვეთში მხილებულია სიხარბე, გაუმაძღრობა.

1. საწუთროს ---------- 1ქ.
2. ხარბობა ---------- 1ქ.

17. ავტორის შემოქმედებას (დასაშვებია აგრეთვე - პოეზიას, მხატვრულ შემოქმედებას, შემოქმედებას). პოეტი კრიტიკის მეშვეობით ხალხის გამოფხიზლებას ცდილობს („ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს -/ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“).

1. ავტორის შემოქმედებას ---------- 1ქ.
2. ავტორის „ სიძულვილი “ სინამდვილეში ხალხის სიყვარულითაა განპირობებული ---------- 1ქ.

18. არჩილსა და კესოს ოთარაანთ ქვრივის ხათრი ჰქონდათ; ოთარაანთ ქვრივთან შეუთანხმებლად არ უნდოდათ გადაწყვეტილების მიღება. ადამიანმა ის უნდა თქვას, რასაც ფიქრობს; სათქმელს შელამაზება არ სჭირდება.

1. ერიდებოდათ ოთარაანთ ქვრივისა ---------- 1ქ.
2. სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას ---------- 1ქ

19. შვება იგრძო (სიცოცხლის ხალისი მიეცა; გულს სიამე მოეფინა). სამშობლოს მძიმე მდგომარეობით (ქვეყანა მტრის მონად ქცეულა; სამშობლოს პოეტის გაფრთხილება არ ესმის; „ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“).

1. შვება იგრძნო ---------- 1ქ.
2. საქართველოს მძიმე მდგომარეობით ---------- 1ქ.

20. ქართველმა სარდლებმა მოითხოვეს, რომ მათი მთავარსარდალი თორნიკე ერისთავი ყოფილიყო; „თორნიკე თუ არ გვესარდლა,/ხმალს არ მოვკიდებთ ხელსაო!“. ბერძნები ქართველებს დახმარების სანაცვლოდ ზემო ქვეყნების გადაცემას ჰპირდებოდნენ.

1. ჯარისთვის თორნიკეს უნდა ესარდლა ---------- 1ქ.
2. ტერიტორიების გადაცემას ---------- 1ქ.

21. მეგობრის ცოლი შეუყვარდა, რაც მორალურად დაუშვებელი იყო (ძიძიასადმი სიყვარული ადათ-წესების ფეხქვეშ გათელვას ნიშნავდა; ძიძიას შეყვარება თემს გადაჰკიდებდა). თემიდან მოკვეთა (ხევიდან გაძევება, სოფლისა და ნათესაობისაგან განკვეთა; „მოშორებული იყვეს თემისაგანაც, სოფლისაგანაც, ნათესაობისაგანაც...“).

1. ძიძიას შეყვარების მორალური უფლება არ ჰქონდა ---------- 1ქ.
2. თემიდან განკვეთა ---------- ----- ---------- 1ქ.

22. ამ სიტყვებში ჩანს ონისეს ვაჟკაცობა, უშიშრობა, თავგანწირვა, კეთილსინდისიერება, პატიოსნება. თემის მოთავეებმა ხევისბერს უთხრეს, რომ მის შვილს ხევი არ გაუყიდია; შეცდომა ახალგაზრდობის გამო დაუშვა.

1. გულადობა ---------- 1ქ.
2. ონისემ შეცდომა უნებურად დაუშვაო ---------- 1ქ.

23. ბახტრიონის 1659 წლის ისტორიული ბრძოლა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ (კახელთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა აჯანყება ყიზილბაშების დასამარცხებლად). მამაკაცები მტერთან ბრძოლაში გაწყდნენ („მამრთა შაკლეს მტერს თავი,/ხსენება გასწყდა კაცისა“). გაპიროვნება (დასაშვებია აგრეთვე – მეტაფორა).

1. კახელთა და თუშ-ფშავ-ხევსურთა 1659 წლის აჯანყება ---------- 1ქ.
2. კაცები მტერთან ბრძოლაში დაიხოცნენ ---------- 1ქ.
3. გაპიროვნება ---------- 1ქ.

24. უშიშა იმან აღაშფოთა, რომ ალუდამ მუცალი ცხონებულად მოიხსენია; „იმ ცხონებულსა მუცალსა/რკინა სდებიყო გულადა!“. ალუდამ მუცალი მარჯვენის მოსაჭრელად ვერ გაიმეტა; „ვერ გავიმეტე მუცალი/მარჯვენის მოსაჭრელადა...“. ალუდა ამ სიტყვებს თავისი ოჯახის წევრებს ეუბნება.

1. ალუდამ მუცალს ცხონებული უწოდა ---------- *1ქ.*
2. მკლავის მოსაჭრელად ---------- *1ქ.*
3. დედასა და ცოლს ---------- *1ქ.*

25. წინა დღეს შაფათაძის ქორწილში იჩხუბა და სირცხვილის გრძნობა ტანჯავდა (ჩხუბსა და აყალმაყალში მიიღო მონაწილეობა და ერიდებოდა მასპინძლისა; იჩხუბა და ფიქრობდა, რომ მასპინძელთან გამოსაჩენი პირი არ ჰქონდა). ვაჟიშვილი ოჯახს ქონებას გაუყოფდა (ოჯახში ავლადიდების გამყოფი გაჩნდებოდა; პლატონს და ქონებას ვერ გაუყოფდა).
1. იჩხუბა და შაფათაძესთან შეხვედრას ერიდებოდა ---------- *1ქ.*
2. ძმა პლატონს ქონებას გაუყოფდა ---------- *1ქ.*

26. პლატონი თავს იმიტომ იკავებდა, რომ ბრეგაძეები ებრალებოდა. პლატონის სიზმარი ქონების გაყოფის შიშს გამოხატავს.
1. ბრეგაძეები ეცოდებოდა ---------- *1ქ.*
2. ქონების გაყოფის შიშს ---------- *1ქ.*

27. ღვთისმშობელს (მარიამ ღვთისმშობელს, დედაღვთისას).
წმინდა მარიამ ღვთისმშობელს ---------- *1ქ.*

28. მელქისედეკ კათალიკოსი კოჭლი იაკობის ღმერთთან შერკინების შესახებ საუბრობდა. არსაკიძემ იაკობის ღმერთთან შერკინება დახატა.
1. ღმერთთან იაკობის შერკინების შესახებ ---------- *1ქ.*
2. ღმერთთან მებრძოლი იაკობი დახატა ---------- *1ქ.*

29. პოეტური შემოქმედება (შემოქმედებითი შრომა; ლექსის თხზვა; „პოეტის შთაგონებით დასნეულება“). მეტაფორა.
1. პოეტური შემოქმედება ---------- *1ქ.*
2. მეტაფორა ---------- *1ქ.*

30. ლირიკული გმირი სევდას, მწუხარებას გამოხატავს. პოეტს საყვარელი ქალის ხმაში ფარული დარდი უყვარდა; „...ერთ დროს ფარული დარდი მიყვარდა!“
1. მონატრებას ----------*1ქ.*
2. დარდი ---------- *1ქ.*

31. ნესტან-დარეჯანს. სუფრის წევრებს (პოეტებს, ნადიმის მონაწილეებს, თანამეინახეებს; დასაშვებია აგრეთვე - ცისფერყანწელებს).
1. ნესტან-დარეჯანს ---------- *1ქ.*
2. პოეტებს ---------- *1ქ.*

32. საოცნებო ქალთან დაშორებით გამოწვეულ განცდას ლირიკული გმირი შავი და თეთრი არაგვის შეერთებასთან კონტრასტით გამოხატავს; „შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის...“. მეტაფორა.
1. შავი და თეთრი არაგვის შეერთებასთან კონტრასტით ----------*1ქ.*
2. მეტაფორა ---------- *1ქ.*

33. მთვარე. მოკვდება (დაიღუპება, სიკვდილს შეეგებება).
1. მთვარე ---------- *1ქ.*
2. მოკვდება ---------- *1ქ.*

34. მოთხრობის მთავარმა გმირმა ცხენი იმისთვის გაიტაცა, რომ ალავერდობაზე შეკრებილი მოქეიფეები გამოეფხიზლებინა. ბრბო განსხვავებული პიროვნების მიმართ აგრესიულ, სასტიკ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

1. ღრეობის მონაწილეთა გამოსაფხიზლებლად ---------- 1ქ.
2. მტრულს ---------- 1ქ.

35. ფართო ჯიბეში წიგნი ჩაეტეოდა (მოსახერხებელი იყო წიგნის თან სატარებლად). წიგნები რომ წაიკითხონ.
1. წიგნი რომ ჩაედო ---------- 1ქ.
2. წიგნები რომ წაიკ ითხონ ----------1ქ.

36. „რაღაც ახალი“, რაც ამქვეყნად გაჩნდა, სიკვდილით დასჯაა. დიდი დაძინების ქარაფზე იგი წელგამართული თავისი წელში მოხრილი მოძმეების გამო ადის.
1. სიკვდილით დასჯა ---------- 1ქ.
2. წელში გამართული ზუს გამო ----------1ქ.

II. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

ა) დავალებების ნიმუშები:

1. **ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „სტუმარ-მასპინძელი“:**

სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან;
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან...
აი საფლავიც ქისტისა,
ხალხი მოერტყა გარსაო,
მოლა მოჰყვება ლოცვასა,
იხსენებს თავის მკვდარსაო:
– ნუ იტანჯები, დარლაო,
ნუ შეიწუხებ თავსაო,
მოვსდეგით შენნი მოძმენი
შენის სამარის კარსაო,
მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო.
– ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა! –
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი – თმასაო.
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულისთქმასაო.
რა მოსდრეკს წარბდაღრუბლვილსა,
ქედჩაჟანგებულ მთასაო!
აქცევენ ზვიადაურსა,
ყელში აბჯენენ ხმალსაო.
„დარლასამც შაეწირები!“ –
ყველა დასძახის მასაო.
„ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ –

უპასუხებდა ხალხსაო.
არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეიხრიდა წარბსაო.
გაოცდენ ქისტიშვილები,
ხალხი დგებოდა ყალხსაო.
– ლამის რომ არ შაეწიროს,
ერთი უყურეთ ძაღლსაო! –
ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
ყელში ურჭობენ ხმალსაო.
„ძაღლ იყოს“, – ყელში ამბობდა,
მანამ მოსჭრიდენ თავსაო!
– უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
არ ახამხამებს თვალსაო!
სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, –
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა...
და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ბნდებოდა,
ცრემლებს ჰმალავდა ლამაზი,
ხალხზე უკანა დგებოდა.
მიშველებასა ჰლამობდა:
„ნუ ჰკლავთ!“ – ეძახის გულიო,
ფიქრობდა ბრაზმორეული:
„ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფრთხობინო სულიო.
ნეტავი იმას, ვინაცა
მაგის მკლავზედა წვებოდა,
ვისიცა მკერდი, აწ კრული,
მაგის გულმკერდსა სწვდებოდა!
ნეტავი იმას ოდესმე
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?!“
ქისტები გაწყრენ, იტკიცეს:
ვერ აუსრულდათ წადილი...
შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნაღები ფანჯრები.
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენიანთ:

„ცოდვაა!“ – ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
„ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა, –
ყველა ალლახსა ჰფიცავდა, –
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.
მაგრამ „მტერს მტრულად მოექეც“, –
თვითონ უფალმა ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანაო“.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი მიხეილ ლოხვიცკის მოთხრობიდან „მეხთატეხა“ *(თარგმნა გიორგი ბაქანიძემ):*

ჩვენი ქორწილის დღეს, როცა აჯუკს ირმის გატყავება-აჩარიქებაში ვეხმარებოდი, აქოშინებულმა ზაკირმა მოირბინა და გვაცნობა: მოსისხლე გამოჩნდა ტყიდან, აულში მოვიდა, შვილად აყვანას ითხოვსო. ირემი ქალებს მივაბარეთ და სურეთის – ერთი დედაბრის – სახლისაკენ გავეშურეთ; ტყიდან გამოსულ ჭაბუკს მისი ვაჟი მოეკლა ამ ერთი წლის წინათ. მკვლელს, როგორც აჯუკმა მითხრა, შუმაფი ერქვა... სურეთის სახლთან ხალხი შეგროვილიყო, მე შიგნით შევედი...

შუმაფი მაღალი ჭაბუკი იყო, გაქუცული, ჭუჭყიანი ჩოხა და წუღები ეცვა, ფაფახი სულ დასორსოლებოდა. წვერგაუპარსავი იყო, ყბა ყბაში ჰქონდა გაყრილი. თავჩაკიდებული იდგა, მკლავები გულზე დაეჭდო. უიარაღოდ მოსულიყო. მოპირდაპირე კედელთან მამაკაცები ჩარიგებულიყვნენ, ხელები ხანჯლის ვადაზე დაედოთ და კუშტად შესცქეროდნენ მოსისხლეს. შემოვიდა ედიღე, აქეთ-იქიდან აჯუკი და სალიხი შესდგომოდნენ მხარში. სამფეხა სკამი მიართვეს მოხუცს. ისედაც მოკუზული იყო და სკამზე დამჯდარი სულ პატარა გამოჩნდა; მაგრამ ნათელი თვალები ჰქონდა, სულაც არ უგავდა ბერიკაცისას. ედიღემ შუმაფსა და სურეთს შეხედა და თქვა:

– შენზე უბედური არავინაა, ჩემო შვილო. აღარავინა გყავს მომხედავი, ვაჟიშვილი დაგეკარგა.

დედაბერმა თავსაფარი აიწია, შუმაფს თვალები ჩაასო და დაიკივლა:

– აი, აქ არის! მოკალით!

შუმაფი არ გატოკებულა, უფრო დახარა თავი. აჯუკისაგან გაგონილი მქონდა, რომ სახლში შემოსულს არ კლავენ ხოლმე. დავუმატებ, რომ არა მარტო ჭერქვეშ არ შეიძლებოდა მკვლელობა, საერთოდ არავის მოკლავდნენ, თუ იქ ქალი იქნებოდა. სადმე ტყეში თუ მინდორში მამაკაცები ჩხუბს რომ ატეხდნენ, საკმარისი იყო ვინმე ქალს დაენახა, მივარდნილიყო და მეომართა შორის თავისი მანდილი ჩაეგდო, შუღლი უმალ ჩაცხრებოდა, ყველაზე უფრო მოსისხლე მტრებიც კი ქარქაშში ჩააგებდნენ ხოლმე ხანჯლებს.

– ილაპარაკე, შუმაფ, – ბრძანა ედიღემ, – ყველანი გისმენთ.

შუმაფმა თავი ასწია, ყველას მოგვავლო თვალი, კედელს მოსცილდა და ყრუ ხმით დაიწყო ლაპარაკი. ძალიან ღელავდა და ისევე, როგორც მთიელებს სჩვევიათ დიდი მღელვარების ჟამს, გრძნობით ლაპარაკობდა, თითქოს ლექსად ამბობსო:

– ყველამ იცის, მკვლელი ვარ. ვაი ჩემს თავს! სიკვდილი მოგიტანეთ აქ და შურისძიებაც დავიმსახურე. აგერ, ჩემი გული, თავს აღარ დავიცავ. ვინც ვაჟკაცი ხართ, ხანჯლები აიღეთ...

მისი სიტყვები გამომწვევად გახმიანდა და კაცებმა ერთმანეთს გადახედეს.

– გესმით? – წამოიყვირა სურეთმა. – მხდალები ხართო, თქვა. მოკალით, მოკალით-მეთქი!

– განაგრძე, შუმაფ, – აუღელვებლად წარმოთქვა აჯუკმა და სურეთს მკაცრად შეხედა. ვერ გავიგე, მოხუცს მართლა შურისძიება სწყუროდა, თუ მკვლელის დასჯას მხოლოდ ადათისამებრ ითხოვდა. არც შუმაფისა და სურეთის ვაჟის ჩხუბის მიზეზი ვიცოდი. ვინ იყო მათში უფრო ბრალეული? გულწრფელად ინანიებს შუმაფი დანაშაულს, თუ შიმშილმა და მარტოობამ გააწამა და ტყიდან გამოაგდო?

– იმ სახლში, სადაც მე დავიბადე, – მჭექარე ხმით წარმოთქვა შუმაფმა, – ორი მეომარია: მამაჩემი და ჩემი ძმა. მტერი უკვე ხმალს ლესავს და თოფს ტენის. ვიღა დაიცავს სურეთს, სადაა მისი ქმარი, მისი შვილი?

კაცები დუმდნენ. ეტყობოდა, რომ შუმაფი დანაშაულს არ ინანიებდა და მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ მთებს რუსი ჯარისკაცები უახლოვდებოდნენ. როგორ შეაფასებდნენ ამას მამაკაცები? ყველა დაიძაბა.

– ჩემი შვილი შენ მოკალი, შენ! – კვლავ დაიყვირა სურეთმა და ქალებმა ხმამაღალი ტირილი გააბეს. ედიღემ თავი გააქნია – გაჩუმდითო.

– დედი, – თქვა შუმაფმა და უკვე სურეთს მიუბრუნდა, – შვილად ამიყვანე და შენს სახლ-კარში ჩავდგები, როგორც შენი შვილი და როგორც მეომარი. მოვრჩი ჩემს სათქმელს, – კვლავ კედელთან მიდგა და თავი დახარა. მამაკაცები მოწონების ნიშნად ახმაურდნენ. – კარგი ნათქვამია, – ხმამაღლა წარმოთქვა ედიღემ.

სურეთი ჯიუტად დუმდა. ედიღემ აჯუკს შეხედა.

– მე, – დინჯად თქვა აჯუკმა, – მოკლულის მამის მეგობარი გახლდით. ლამის უფროსი ძმა იყო ჩემი. ვინ იტყვის, რომ არა მაქვს სისხლის აღების უფლება? იქნებ, სწორს არ ვამბობ?

– სწორს ამბობ, – მშვიდად მიუგო ედიღემ, – შენ სხვაზე უწინ გაქვს შურისძიების უფლება.

– ჰოდა, უარს ვამბობ შურისძიებაზე, – თქვა აჯუკმა, – მე ვფიქრობ, სურეთი უძეოდ არ უნდა დარჩეს.

ედიღემ ახლა სალიხს შეხედა.

– მე, – მშვიდად თქვა სალიხმა, – სურეთის მეზობელი ვარ, მაგრამ მეც უარზე ვდგავარ.

– ვის სურს შურისძიება? – იკითხა ედიღემ.

კაცები დუმდნენ. მაშინ ედიღემ ხელი ჩამოისვა გრძელ, ჭაღარა წვერზე და სურეთს მიაჩერდა.

– დედაო, გსურს, შუმაფი შვილად აიყვანო?

მოხუცმა არაფერი უპასუხა. თავსაფარს ჭმუჭნიდა დაკრუნჩხული თითებით. დედაკაცები მისკენ დაიხარნენ, ჩურჩული დაუწყეს.

– მოვიდეს, – ხმადაბლა, მაგრამ მკაფიოდ თქვა მოხუცმა.

შუმაფიც მივიდა, მუხლი მოიყარა, კალთაზე დაუდო თავი. სურეთმა თავსაფარი მოიძრო და თავზე დააფარა. ორივენი ატირდნენ. შემდეგ ქალმა აცახცახებული თითებით გაიხსნა უბე და პერანგი, დამჭკნარი ძუძუ გამოიღო და შუმაფმაც ბაგე შეახო ძუძუსთავზე. ვაჟს ცრემლი სდიოდა.

– ალაჰი იყოს თქვენი მფარველი, – თქვა ედიღემ, – დედა ხარ და კიდევ მეტი, სურეთ, რაკი ასე კეთილი და ბრძენი გამოდექი. შენ, შუმაფ, ყველას ვაჟკაცად გაგვაჩვენე თავი, ჰოდა, ერთგული შვილი იყავი შენი ახალი დედისა. წავიდეთ, ხალხო, მარტო დავტოვოთ...

სალიხი წამოდგომაში მიეშველა ბერიკაცს, კარისკენ წაიყვანა იგი. მე და აჯუკიც გამოვედით. ხალხი იშლებოდა...

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.
წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.
ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *არ აღემატება 120 სიტყვას,* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ვაჟა-ფშაველას ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ მიხეილ ლოხვიცკის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ-საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

2. ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობაში „რაჰათ-ლუხუმი“ მოხუცი სულეიმანი სტამბოლის გარეუბანში ევროპელ მოგზაურს უამბობს:

მოსახვევში ჯორზე ამხედრებული მღვდელი გამოჩნდა. თავი ჩაეკიდა და ისე ჩაფლულიყო ფიქრებში, სანამ ჩვენს დანახვაზე ჯორი მოწყვეტით არ შედგა, არაფერი გაუგია. ჯორი რომ შედგა, მაშინღა აიღო თავი. ოცდათხუთმეტი წლისა თუ იქნებოდა, მრგვალი პირისახე ჰქონდა, ქერა თმა-წვერი და თაფლისფერი თვალები. ამოდენა ლაშქარი რომ დაინახა, ფერი დაკარგა, წამით შეტრიალება და გაქცევა დააპირა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ვერსად წაგვივიდოდა, და გადაიფიქრა. იჯდა ჯორზე გახევებული, კანკალებდა და უაზროდ შემოგვცქეროდა... „ნუ გეშინია, არას გერჩი, - დაყვავებით უთხრა ომან ფაშამ, - ოღონდ, რასაც გიბრძანებ, ის უნდა შეასრულო“. მღვდელი ისე იყო გონებაარეული, ომან ფაშას დაპირება, ეტყობა, ვერც კი გაიგო. „ხომ იცი, ლუარსაბ-ხანი სად იმყოფება“? - ჰკითხა ომან ფაშამ. მღვდელი, როგორც იქნა, გონს მოეგო, თვალებში აზრის ნატამალი გაუკრთა, მიხვდა, რას ეკითხებოდნენ, და უარის ნიშნად თავი გააქნია, არ ვიციო. მაშინ ომან ფაშამ ის სოფელი უხსენა, რომლის სახელი მაშინ ვიცოდი და მერე დამავიწყდა, და ჰკითხა, ეს სოფელი ხომ იცი, სადააო. მღვდელმა... თავი დაიქნია, ვიციო. „ძალიან

კარგი, - თქვა ომან ფაშამ და ბრძანა, - აბა... გაგვიძეხ და პირდაპირ მაგ სოფელში მიგვიყვანე!“ მღვდელი ახლა ისე აღარ კანკალებდა, მაგრამ ჩუმად იყო და მაშინ ვერ მივხვდით, ყოყმანობდა თუ სხვა რამეს ფიქრობდა. მღვდლის სიჩუმეზე ომან ფაშა, ცოტა არ იყოს, გაწყრა და ხმაში სუსხი გამოურია: „ვერ გაიგე, გურჯო, რა გითხარი?! - მერე ისევ დაუწია ხმას და ტკბილად განაგრძო, - თუ გაგვიძღვები და ლუარსაბ-ხანთან მიგვიყვან, სიცოცხლეს გაჩუქებ და სართად ერთ ქისა ოქროსაც დაგიმატებ, თუ არა და დაუყოვნებლივ მოკვდები, ლუარსაბ-ხანის ადგილსამყოფელს კი უშენოდაც იოლად მივაგნებთ“. როდესაც ეს სიტყვები გურჯთა ენაზე უთარგმნეს, მღვდელმა ომან ფაშას შეხედა და წამით რაღაც ნაპერწკალი გაუკრთა. მე ეს ნაპერწკალი ოქროს ხსენებას მივაწერე და გულში გამეცინა. მღვდელმა კი, თითქმის სრულიად დამშვიდებულმა, ომან ფაშას შემდეგი უთხრა: „მე მაშინ მოვკვდები, როდესაც უფალი ჩემი ღმერთი იესო ქრისტე ინებებს“, - და პირჯვარი გამოისახა. ჩემი ვარაუდით, მღვდელი ვაჭრობას აპირებდა, რათა, რაც შეიძლება, მეტი ოქრო დაეცინცლა ჩვენთვის, მაგრამ მისმა ყბედობამ ომან ფაშა რისხვით აავსო. სწრაფად გადაიხარა ცხენიდან, მღვდელს წვერში წაავლო ხელი, თავი აუწია, თვალებში ჩახედა და კბილთა ღრჭენით უთხრა: „ახლა მე ვარ შენი ღმერთი და შენი სული ჩემს ხელთაა!“ ამ სიტყვებით მისი წვერი ერთი მაგრად შეანჯღრია, მერე თავი კიდევ უფრო მაღლა აუწია და, როცა მღვდელს ყელის ძარღვები დაეჭიმა, თვალები გადმოეკარკლა და სუნთქვა შეეკრა, მაშინღა გაუშვა. „აბა, შეჯექი ჯორზე და გაგვიძეხ“. მღვდელს ხველება აუვარდა და ტკივილისაგან ერთხანს ხმა ვეღარ ამოიღო, ბოლოს, როგორც იქნა, ყელი ჩაიწმინდა და თქვა: „მეფის ღალატს მე ჩემი ნებით ვერ გავბედავ. უნდა ვილოცო და ჩემს მაცხოვარ იესო ქრისტეს დავეკითხო. თუ დასტურს მომცემს, გაგიძღვებით, თუ უარს მეტყვის, ვერ გაგიძღვებით“. მე ვიცოდი, რომ მრისხანების ჟამს ომან ფაშას შეიძლებოდა გონება ამღვრეოდა და ისეთი რამ ჩაედინა, რაც მერე სანანებელი გაგვიხდებოდა, ამიტომ სწრაფად ამოვუდექი გვერდით და სწორედ იმ წამს, რა წამსაც დანა იძრო, ვუთხარი: „ნუ აჩქარდები, დიდო სარდალო. მაგას ლოცვა იმისთვის სჭირდება, რომ ღალატი ღმერთს გადააბრალოს და ოქრო ისე იშოვოს, სინდისმა არ შეაწუხოს“. ომან ფაშას, როგორც სჩვეოდა, სიბრაზემ უცბადვე გადაუარა და მღვდელს მიუბრუნდა: „ნება მომიცია, გურჯო. ილოცე და დაეკითხე შენს ღმერთს. ისიც უთხარი, ომან ფაშას ასე სწადია-თქო, უფრო იოლად გამოსტყუებ დასტურს!“ ამ სიტყვებმა ლაშქარში მხიარული სიცილი გამოიწვია. ეეჰ, მაშინ ჯერ კიდევ ვიყავით ოხუნჯობის გუნებაზე... მღვდელი რამდენიმე ნაბიჯზე გაგვშორდა, პირი აღმოსავლეთით ქნა, დაიჩოქა, თვალები მაღლა აღაპყრო და გაუგებარ ბუტბუტს მოჰყვა. ვიწრო ხეობაში ვიდექით, ქვიან, ოღრო-ჩოღრო გზაზე. შუადღე იყო და უმოწყალოდ ცხელოდა... მღვდელმა ბუტბუტი მალე შეწყვიტა, მაგრამ კიდევ დიდხანს იდგა მუხლებზე, გაშეშებული და ზეცისკენ თვალებაპყრობილი, ბოლოს წამოდგა და მოტრიალდა. სახე უელავდა და თვალებიდან თითქოს სხივებს აფრქვევდა. მე ეს მაინცდამაინც არ გამკვირვებია. მართალია, ამ დამფრთხალი ქრისტიანი მღვდლისაგან ცოტა მოულოდნელი კი მეჩვენა, მაგრამ, საერთოდ, ვიცი, ჩემს თავზეც გამომიცდია და სხვებისთვისაც შემიმჩნევია, რომ ღრმა და გულწრფელი ლოცვის დროს, როცა თვალის მაგიერ სულით იხედები, კაცს ასეთი რამ ზოგჯერ გემართება. მღვდელი ომან ფაშასკენ წამოვიდა. ახლა სავსებით დამშვიდებული იყო და შიშისა აღარაფერი ეტყობოდა. მივიდა ომან ფაშასთან და უთხრა: „უფალმა ჩემმა ღმერთმა იესო ქრისტემ, კურთხეულ იყოს მისი სახელი, შენი მორჩილება და სამსახური მიბრძანა“. „საუცხოო ღმერთი გყოლია, გურჯო. მაშ, დროს ნუ დავკარგავთ, შეჯექი ჯორზე და გაგვიძეხ, - შორია მაგ სოფლამდე?“ „მოკლე გზით თუ წავალთ, დაღამებამდე მივაღწევთ, - მიუგო მღვდელმა, - ოღონდ სავალი ძნელია“. „ალაჰის ლაშქარს გზის სიძნელე ვერ შეაშინებს, - უთხრა ომან ფაშამ, - მოკლე გზით გაგვიძეხ!“ სავალი მართლა ძნელი გამოდგა, სულ ტყე-ღრეებით, დაბურული ტყეებითა და დახრამული, ვიწრო ხეობებით ვიარეთ. მღვდელი წინ მიგვიძღოდა, ჩვენ უკან მივყვებოდით. საშუალო ტანის კაცი იყო, ოდნავ წახრილი იჯდა ჯორზე, თავი ჩაეკიდა და ეტყობოდა, ღრმა საფიქრალს მისცემოდა. უკან არც ერთხელ არ მოუხედავს. მიდიოდა უხმოდ და, რაზე ფიქრობდა, არავინ იცის... დიდხანს ვიარეთ. ხალხიც დაიღალა და ცხენებიც, მაგრამ დასვენება არც გვიფიქრია. იმის იმედით, რომ მალე მიზანს მივაღწევდით, სადაც გამარჯვებაც გველოდა, სასმელ-საჭმელიც და

განცხრომაც, დაღლილობას იოლად ვიტანდით. მზე უკვე ჩადიოდა, როდესაც იმ დაწყევლილ ადგილს მივაღწიეთ... მღვდელმა ფერდობი აათავა, ჯორი ზედ კლდის ძირას შეაყენა, ჩამოხდა და ჩვენკენ მოტრიალდა. ჩვენც შევდექით. ლაშქარიც შედგა. კლდე რაღაც უცხო ბრჭყვიალებით ირეკლავდა დაცემულ სხივებს, სხვადასხვა ფერის ათინათი თვალისმომჭრელად ირეოდა ერთმანეთში და ო, ალაჰ, წამით მომეჩვენა, თითქოს მზის მეწამულ შუქში გახვეული მღვდელი თავადაც მზესავით აფრქვევდა სხივებს. მე თვალი დავხუჭე და თავი გავიქნიე, რათა ეს უცნაური და შიშისმომგვრელი ხილვა მომეშორებინა. ამ დროს მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და წყნარი, ნაღვლიანი ხმით თქვა: „მოვედით“... „მოვედით? - ჰკითხა ომან ფაშამ და ჯერ ერთ მხარეს შეათვალიერა ტყე, მერე მეორე მხარეს. ბოლოს კლდეს ააყოლა თვალი, თითქოს გადაღმა გადახედვას ლამობსო, და თითით ჰაერში რკალი მოავლო, - აქ არის სოფელი?“ „არა“, - ისევ ისე წყნარად და ნაღვლიანად თქვა მღვდელმა. სახე მშვიდი და უძრავი ჰქონდა. „არა? - განცვიფრებით გაიმეორა ომან ფაშამ, - მაშ, სად მოვედით? სოფელი სადაა?“ „სოფელი შორსაა, - მიუგო მღვდელმა, - უფალმა ჩემმა იესო ქრისტემ, კურთხეულ იყოს მისი სახელი, - ამ სიტყვებით კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი, - აქ მიბრძანა შენი მოყვანა“.

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „თევდორე“:

ხალხს და ქვეყანას ეწირება მხოლოდ თევდორე.
ხალხმა არ იცის, საქართველო რომ იღუპება,
რომ განსაცდელი კარს მოსდგომიათ,
რომ შუბი უკვე აღმართულია,
შუბი ფარული და უხილავი
და სადაც არი, გაიზუზუნებს.

ხალხმა არ იცის, ტივი კლდეებს რომ ეჯახება
და უმწეოა ტივზე მეტივე,
რომ საყდარია მიტოვებული
და მოციქული უნუგეშოდ დგას თორმეტივე,
რომ სოფლის თავზე ჭვარტლიანი ტრიალებს სვავი,
რომ ოცნებისთვის მკაცრი არის დღე დღევანდელი
და თმებგაშლილი ანგელოსი დგას და ქვითინებს.

ხალხმა არ იცის, საქართველო რომ იღუპება,
რომ მტერი უკვე ოჯახში უზით.
ცეცხლს რომ აკვესებს, ყიზილბაშის ცხენის ქუსლია,
ხალხს და ქვეყანას ეწირება მხოლოდ თევდორე
და თავგანწირულს ჯერ სამშობლო ვერ დაუხსნია.
ის ქვენადრისის გზაზე მიდის.
იმან არ იცის, ქვეყანაზე რატომ მოვიდა,
მაგრამ მან იცის, რატომ მიდის...
ხალხმა არ იცის, არ ეყურება
გადამთიელის ცხენის ჭიხვინი.
თებრონე მშვიდად მიდის წყაროზე,
მერე ქალებში დგას მარიხივით.
ხალხმა არ იცის, ვერ გაუგია
საქართველოში მოსვლა სატანის
და ორღობეში ღვივის თებრონეს

აყვავებული კაბის ატამი.
ქვეყანას უმზერს მზე სისხლიანი,
ო, ღმერთო, ასე უყურებს ალბათ
მიწაზე ძალით წამოქცეული
ხარის თვალები გაოფლილ ნალბანდს.
ხალხმა არ იცის, გადამთიელი რომ შემოსულა,
რომ სისხლით ღებეს
თრიალეთი და დაწვეს მანგლისი.
ცხირეთში მშვიდად ისვენებს მეფე.
მშვიდად არიან ფეოდალები,
ძალაუფლების ათრობთ თრიაქი.
სასაფლაოზე გადადის ცხვარი.
სოფელს აფხიზლებს დედლის კრიახი.
იბრუჟებიან ღვინით ბერები.
ვაჭარი ძღვენით მისდგომია მეფის პალატებს.
ხალხმა არ იცის,
არც მამაცმა
და არც ლაჩარმა,
გულქვამ,
გულჩვილმა,
არც ერთგულმა,
არც მოღალატემ,
რომ იღუპება საქართველო.
ფიქრად არა აქვს
ქვეყნად არავის -
არც ხელმწიფეს,
არც ქვეშევრდომებს,
წინ გაგდებული,
სისხლიანი,
ლახტით ნაცემი
რომ ყველას მსხვერპლად ეწირება მხოლოდ თევდორე.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.
წერით დავალებას თან ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.
ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.
ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტები მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტების პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა *<u>არ აღემატება 120 სიტყვას,</u>* ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტები შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ჯემალ ქარჩხაძის ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ გივი გეგეჭკორის ლექსის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ამ ტექსტების მსგავსება-განსხვავების შესახებ (ყურადღება მიაქციეთ, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებენ ავტორები).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

ბ) შეფასების კრიტერიუმები:

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა **30.** თუ აბიტურიენტის ნაშრომი მოცემული ტექსტის პერიფრაზია, თითოეული მითითება მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით არის შესრულებული ან ტექსტი მთლიანად არაადეკვატურადაა გაგებული (ანდა გაურკვეველი კალიგრაფიის გამო ნაშრომის წაკითხვა ვერ ხერხდება), ***დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება***.

დავალების ესა თუ ის მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ **ერთი-ორი** წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ნაშრომი, რომლის მოცულობაც 120 სიტყვას არ აღემატება, VIII, IX და X კრიტერიუმებით არ შეფასდება!

I კრიტერიუმი

№	*მოცემული ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	ტექსტი ***ღრმადაა*** გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	ტექსტი ***ადეკვატურადაა*** გაგებული.	3
3.	***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	***ერთზე მეტ*** შემთხვევაში ტექსტი ***არაადეკვატურადაა*** გაგებული.	1
5.	ტექსტი ***მთლიანად არაადეკვატურადაა*** გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	*ნაშრომის აგება*	*ქულები*
1.	ნაშრომი უპასუხებს ***სამივე*** მითითებას და ***კარგადაა ორგანიზებული,*** აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	3
	ნაშრომი უპასუხებს ***სამ*** მითითებას, თუმცა ტექსტი არ არის კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშ-	

2.	რომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ***ორ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** კარგად ორგანიზებული ან/და ზოგან აბზაცები ***არასწორადაა გამოყოფილი;*** ან ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას და ***კარგადაა*** ორგანიზებული, აბზაცები ***სწორადაა*** გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ***ერთ*** მითითებას, თუმცა ***ტექსტი არ არის*** ორგანიზებული ან/და აბზაცები ***არასწორადაა*** გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

№	*დავალების (მითითებების) ადეკვატური გაგება და გააზრება*	*ქულები*
1.	დავალება ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, არ არის საკითხიდან გადახვევის არც ერთი შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომელიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	2
2.	დავალების პირობა ძირითადად ***ადეკვატურად*** არის გააზრებული, თუმცა ***ერთ*** შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ***არაადეკვატური*** გაგება ან არის საკითხიდან გადახვევის ორიოდე შემთხვევა (ისეთი ფაქტის, მოსაზრებისა თუ ციტატის დამოწმება, რომელიც განსახილველ საკითხს არ უკავშირდება).	1
3.	დავალების პირობა ***არაადეკვატურადაა*** გააზრებული.	0

IV კრიტერიუმი

№	*მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ***სამივე*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** (არგუმენტირებულია) და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა ***ორი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო ***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	3
	მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ***მეორე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური	

5.	მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	***სამივე*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	***ორი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო ***მესამე*** მითითება საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ან მსჯელობა ***ერთი*** მითითების მიხედვით ***დასაბუთებულია*** და არგუმენტები ***გამყარებულია*** ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული; ანდა ***ერთი*** მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები ***არადამაჯერებელია*** და/ან ***არ არის*** გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ ***არ არის*** შესრულებული.	0

V კრიტერიუმი

№	*ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება*	*ქულები*
1.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	3
2.	მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***დამაჯერებელია, გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება, თუმცა ერთ შემთხვევაში მაგალითი ***არასწორია*** ანდა მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ ***არადამაჯერებელია,*** თუმცა ***გამოყოფილია არაერთი*** მხატვრული საშუალება და დამოწმებული მაგალითები ***სწორია.***	2
3.	ნაშრომში არის მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***არ არის*** გამოყოფილი ***არცერთი*** მხატვრული საშუალება; ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, მაგრამ ***გამოყოფილია რამდენიმე*** მხატვრული საშუალება, თუმცა დამოწმებულ მხატვრულ საშუალებათაგან ერთი ***არასწორია.***	1
4.	ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ავტორის სტილის შესახებ, გამოყოფილი მხატვრული საშუალებები ***არასწორია*** ან ნაშრომში ***არ არის*** მსჯელობა ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.	0

VI კრიტერიუმი

№	*დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***მკაფიოდ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა	

	არაშაბლონურობა, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაც და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში ***ნაწილობრივ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, აგრეთვე ***არ*** გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლება.	0

VII კრიტერიუმი

№	*ფაქტობრივი სიზუსტე*	*ქულები*
1.	ნაშრომში ***არ არის*** დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში ***დაშვებულია*** ფაქტობრივი შეცდომა.	0

VIII კრიტერიუმი

№	*ლექსიკა და სტილი*	*ქულები*
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტად და მკაფიოდაა*** გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის ***შესაფერისი სტილი,*** გვხვდება ორიოდე სტილისტიკური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ***ზუსტადაა*** გამოხატული, მთლიანობაში დაცულია ნაშრომის სტილის ერთგვაროვნება, თუმცა გვხვდება რამდენიმე სტილისტიკური ხარვეზი.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ***ლექსიკა მწირია,*** გვხვდება არაერთი სტილისტიკური ხარვეზი.	1
4.	თხზულება სტილისტიკურად ***გაუმართავია*** (ზოგიერთი მონაკვეთის აზრის გაგება ჭირს).	0

IX კრიტერიუმი

№	*მორფოლოგია-ორთოგრაფია და სინტაქსი*	*ქულები*
1.	არ არის ***ორზე მეტი*** შეცდომა.	3
2.	არ არის ***ოთხზე მეტი*** შეცდომა.	2
3.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	1

4.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**0**

X კრიტერიუმი

№	*პუნქტუაცია*	*ქულები*
1.	არ არის ***სამზე მეტი*** შეცდომა.	**2**
2.	არ არის ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**1**
3.	დაშვებულია ***ექვსზე მეტი*** შეცდომა.	**0**